

მუხლი 820. ზიანის ფულადი ანაზღაურების ვალდებულება

ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით.

I. შესავალი.....	1
1. ქონების დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმების სისტემური განლაგება კოდექსში	1
2. ანაზღაურების პრინციპი და მისი განმტკიცება ქონების დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებში	2
3. სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები	2
4. რისკის განაწილება მზღვეველსა და დამზღვევს შორის	3
5. დამდგარი ზიანისა და სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრა, როგორც ანაზღაურების დამატებითი წინაპირობა ქონების დაზღვევაში	3
6. სადაზღვევო ინტერესის განმარტება ქონების დაზღვევის დროს.....	5
ა. სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობა ქონების დაზღვევისას	5
ბ. სადაზღვევო ინტერესის არსებობის დადგენა კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს	6
გ. დაზღვეული ქონების გაუფასურება	7
7. შეთანხმება პირგასამტეხლოსა და პროცენტზე.....	7
II. 820-ის განმარტება	7
1. ნორმის მიზანი	7
2. ზიანის ანაზღაურება არაფულადი ფორმით	8
3. დათქმა საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ	9

I. შესავალი

1. ქონების დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმების სისტემური განლაგება კოდექსში

სამოქალაქო კოდექსი დაზღვევის კლასიფიკაციას დაზღვევის ობიექტის მიხედვით ახდენს. ამ თვალსაზრისით კოდექსში ერთმანეთისგანაა გამიჯნული ზიანის დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა და უბედური შემთხვევის დაზღვევა. თავის მხრივ, ზიანის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმები მოიცავს როგორც ქონების დაზღვევის, ისე სხვა პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის დაზღვევის თავის ქვეშ გათვალისწინებული ნორმები დაზღვევის სხვადასხვა ობიექტს აწესრიგებენ. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა მათი სისტემურად ცალ-ცალკე მოწესრიგება. ამასთან, ზიანი, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების არსის განმსაზღვრელი ელემენტი, ყველა სახის დაზღვევაში ფიგურირებს. ამიტომ ტერმინმა - ზიანის დაზღვევა, შესაძლოა გარკვეული ორაზროვნებაც გამოიწვიოს ცალკეული ნორმის განმარტებისას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, სამოქალაქო კოდექსში ასახულიყო დაზღვევის შესახებ კანონში (მუხლი მე-4) გათვალისწინებული კლასიფიკაცია. კერძოდ, დაზღვევის სახეები გამიჯნულიყო როგორც პირადი, ქონებისა და პასუხისმგებლობის დაზღვევა. სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევის ინსტიტუტი კი ყოფილიყო ასახული დაზღვევის ზოგად დებულებებში (იხ. 836-ე მუხლის კომენტ.).

2. ანაზღაურების პრინციპი და მისი განმტკიცება ქონების დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებში

- 3 820-835 აწესრიგებს ქონების დაზღვევის საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს. ქონების დაზღვევას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რომლებიც მას მკვეთრად მიჯნავს დაზღვევის სხვა სახეებისგან. დაზღვევისათვის ფუძემდებლური ანაზღაურების პრინციპი (Principle of indemnity) ყველაზე მკაფიო გამოხატულებას სწორედ ქონების დაზღვევაში ჰპოვებს. ანაზღაურების პრინციპის თანახმად, ქონების დაზღვევისას დამზღვევს ეკრძალება, მოგების სახით, დამდგარი ზიანის ზუსტ ოდენობაზე მეტი ანაზღაურების მიღება. ანაზღაურების პრინციპის მიზანია, დამზღვევი ჩააყენოს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ის ზიანის დადგომამდე იმყოფებოდა.¹
- 4 სკ-ს ქონების დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებში დადგენილია ანაზღაურების პრინციპიდან ნაწარმოები ქონების დაზღვევის უმთავრესი პრინციპები: ანაზღაურება დამდგარი ზიანის ფარგლებში (826), ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურება (820), ზიანის ანაზღაურება სადაზღვევო თანხის ფარგლებში (821, 822 I, 827 I), სადაზღვევო თანხის განსაზღვრა ქონების ეკონომიკური ღირებულების მიხედვით (823), სუბროგაცია (832).
- 5 სკ-ს ქონების დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმებით ასევე განსაზღვრულია სპეციალურ ობიექტებთან და რისკებთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები. მათ შორისაა: მიუღებელი სარგებლის (824), ნივთთა ერთობლიობისა (825) და დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანის დაზღვევა (831).
- 6 ქონების დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებში კანონმდებელი მკაფიოდ გამოხატავს უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციის მიზანს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისეთი იმპერატიული დანაწესები, როგორიცაა: მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების განზრახვით დადებული ხელშეკრულების ბათილობა (822 II), ორმაგი დაზღვევის ბათილობა (828), განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების აკრძალვა (829).

3. სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები

- 7 ქონების დაზღვევისას მნიშვნელოვანია სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრის წესის დადგენა. ამ თვალსაზრისით სადაზღვევო პრაქტიკა იცნობს ისეთ წესებს, როგორიცაა: პირველი რისკის სისტემა, პროპორციული სისტემა, მზღვეველთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ორმაგი დაზღვევისას (827 III), ანაზღაურების განსაზღვრა შემცირებული ან არასრული დაზღვევის დროს (827 I).
- 8 პირველი რისკის სისტემაზე შეთანხმებით, ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მთლიანად, სადაზღვევო თანხის ფარგლებში.² მაგალითად, ავტომობილი

¹ *Jerry/Richmond, Understanding Insurance Law, Fourth Edition, 2007, გვ. 647.*

² *ცისკაძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, 2001, მუხ. 799, გვ. 111.*

დაზღვეულია 5000 ლარის ფარგლებში, დამდგარი ზიანი კი შეადგენს 3800 ლარს. პირველი რისკის სისტემაზე შეთანხმებით, მზღვეველი გადაიხდის 3800 ლარს.

პროპორციულ სისტემაზე შეთანხმებისას, სადაზღვევო საზღაური გამოითვლება ფორმულის მიხედვით. კერძოდ: დამდგარი ზიანისა და სადაზღვევო თანხის ნამრავლი შეეფარდება სადაზღვევო შეფასებას. ამ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაა თავად სადაზღვევო თანხასა და სადაზღვევო შეფასებას შორის. კერძოდ: სადაზღვევო თანხა ტოლია სადაზღვევო შეფასებისა, თუ მასზე ნაკლებია. მაგალითად, უძრავი ქონების სადაზღვევო ღირებულებაა 4000 ლარი და ის დაზღვეულია 2800 ლარის სადაზღვევო თანხით. დამდგარმა ზიანმა კი შეადგინა 2000 ლარი. პროპორციული სისტემის მიხედვით, სადაზღვევო ანაზღაურებასა და დამდგარ ზიანს შორის იგივე მიმართება იქნება, რაც არის სადაზღვევო თანხასა და სადაზღვევო ღირებულებას შორის. რადგან მოცემულ მაგალითში სადაზღვევო თანხა წარმოადგენს სადაზღვევო ღირებულების 70%-ს, სადაზღვევო ანაზღაურებაც განისაზღვრება დამდგარი ზიანის ოდენობის — 2000 ლარის, 70%-ით. შესაბამისად, მზღვეველი ანაზღაურების სახით გადაიხდის 1400 ლარს.³

4. რისკის განაწილება მზღვეველსა და დამზღვევს შორის

იურიდიულ ლიტერატურაში საინტერესო აზრია გამოთქმული ქონების დაზღვევაში თანადაზღვევის (Coinsurance) ინსტიტუტის არსებობის შესახებ. კერძოდ, ქონების დაზღვევის პოლისები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვითაც, რამდენად ხდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო რისკის ტარების ფუნქციის განაწილება. თანადაზღვევის დროს, გარკვეული თვალსაზრისით, დამზღვევიც მზღვეველად წარმოდგება. თანადაზღვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ობიექტის ეკონომიკურ ღირებულებაზე. მაგალითად, დამზღვევმა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დააზღვია ქონების ეკონომიკური ღირებულების 60%-ის სადაზღვევო თანხით. ასეთი შეთანხმების პირობებში დამზღვევი ატარებს რისკის 40%-ს, მზღვეველი კი 60%-ს.

მზღვეველსა და დამზღვევს შორის რისკის განაწილების მოდელია შეთანხმება ფრანშიზის თაობაზე (იხ. 799-ე მუხლის კომენტ.). ფრანშიზის სახით დათქმული ზღვრული ოდენობის დონემდე დამზღვევი რისკს 100%-ით ატარებს.⁴

5. დამდგარი ზიანისა და სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრა, როგორც ანაზღაურების დამატებითი წინაპირობა ქონების დაზღვევაში

ქონების დაზღვევისას დამზღვევის მოთხოვნის დაკმაყოფილების დამატებით წინაპირობად განიხილება მხარეთა შეთანხმება ზიანისა და, შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობაზე. დაზღვევის ობიექტის მასშტაბის გათვალისწინებით, ხშირად ზიანის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა რთულდება. აღნიშნული კი დავას წარმოშობს მხარეთა შორის და, საბოლოოდ, აბრკოლებს დამზღვევის მოთხოვნის უფლების რეალიზაციას. ერთ-ერთ ასეთ საქმეში⁵

³ იქვე, 147.

⁴ *Jerry/Richmond, Understanding Insurance Law, Fourth Edition, 2007, გვ. 652.*

⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მარტის N 28/78-12 გადაწყვეტილება.

სადაზღვევო კომპანიასა და ერთ-ერთ შპს-ს შორის დაიდო ქონების დაზღვევის ხელშეკრულება. დაზღვევის საგნად განისაზღვრა დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული ქონება. სადაზღვევო დაფარვა გავრცელდა სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო შემთხვევაზე, მათ შორის, ხანძარზე. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევი შეერწყა სხვა შპს-ს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ახალი შპს. დაზღვეულ უძრავ ქონებაზე აღირიცხა ახალი შპს-ს საკუთრების უფლება. აღნიშნულის შემდეგ, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე, დამზღვევის კომპანიის საწყობში გაჩნდა ხანძარი. შედეგად დაზიანდა უძრავი ქონება და მარაგები.

- 13 ზიანის დიდი ოდენობის გათვალისწინებით, სადაზღვევო კომპანიამ არ ისარგებლა ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებით, მის მიერ განსაზღვრულ პირს შეეფასებინა ზიანი. მზღვეველმა საჭიროდ მიიჩნია ზიანის შესაფასებლად დამოუკიდებელი ექსპერტის, აუდიტორული ფირმის, მოწვევა. აღნიშნულის შედეგად დამზღვევს ხელმოსაწერად წარედგინა სადაზღვევო აქტი, აუდიტორული ფირმის ანგარიშისა და დასკვნის თანხლებით. დამზღვევი არ დაეთანხმა სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობას და, შესაბამისად, აქტს ხელი არ მოაწერა. დამზღვევმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- 14 მოცემულ საქმეში მხარეებს შორის სადავო გახდა ზიანისა და, შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობა. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სკ-ს დაზღვევის მომწერიგებელი ნორმები არ შეიცავს დათქმას ზიანის შეფასების წესის თაობაზე. ასეთ პირობებში სასამართლო დაეყრდნო მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას და მიიჩნია, რომ აღნიშნული ამომწურავად აწესრიგებდა ზიანის შეფასების პროცედურას. კერძოდ, ხელშეკრულების მიხედვით, მზღვეველი ვალდებული იყო სადაზღვევო ანაზღაურება გაეცა საჭირო დოკუმენტაციის მიღებიდან ერთი კალენდარული თვის ვადაში. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობად ხელშეკრულებით განისაზღვრა სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენა და ხელმოწერა ორივე მხარის მიერ. აღნიშნული დოკუმენტი გამოხატავს მხარეთა თანხმობას სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობის თაობაზე. თავის მხრივ, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანის ოდენობის დასადგენად მზღვეველი უფლებამოსილია მოიწვიოს მისი წარმომადგენელი. ხოლო მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შეფასება განხორციელდება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.
- 15 სასამართლოს განმარტებით, მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უშუალოდაა დაკავშირებული ზიანის მოცულობის დადგენასთან და აღნიშნულის გარეშე ანაზღაურება შეუძლებელია. სასამართლომ ზიანის ოდენობის საფუძვლიანობის განსაზღვრისას მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ ზიანის მოცულობა დადგინდა დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. აღნიშნული კი სასამართლომ ზიანის შეფასების „ყველაზე ობიექტურ პროცედურად“ მიიჩნია.

ამასთან, მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვადის შესახებ. სასამართლოს დასკვნით, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთთვიანი ვადა უნდა აითვალოს არა სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინებიდან, არამედ სადაზღვევო აქტის შედგენიდან. ასეთი მსჯელობა სასამართლომ გაამყარა იმ არგუმენტით, რომ ხელშეკრულების მიხედვით, „გადახდის საფუძველს წარმოადგენდა არა შეტყობინება, არამედ სადაზღვევო აქტი.“ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს აღნიშნული დასკვნა გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან მის საფუძველზე სასამართლომ მზღვეველის მხრიდან ვალდებულება შესრულებულად მიიჩნია.

6. სადაზღვევო ინტერესის განმარტება ქონების დაზღვევის დროს

ქონების დაზღვევისას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს სადაზღვევო ინტერესის განმარტებას. აღნიშნული უკავშირდება როგორც სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობას, ისე მისი არსის განსაზღვრას ცალკეულ შემთხვევაში.

ა. სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობა ქონების დაზღვევისას

სადაზღვევო ინტერესის შინაარსის დადგენა ქონების დაზღვევის შემთხვევაში გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. 1805 წლიდან აქტუალურია სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობაში სამართლებრივი და ეკონომიკური ინტერესების არსის დადგენა. ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Lucena v. Craufurd* წარმოაჩენს საკითხისადმი მოსამართლეთა არაერთგვაროვან მიდგომებს. აშშ-ს სასამართლოებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოზიციას ემხრობიან, მაგრამ საბოლოოდ სადაზღვევო ინტერესის არსი განისაზღვრება თითოეულ საქმეზე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით.⁶

სამართლებრივი ინტერესის ქვეშ დაზღვევის ობიექტთან სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი კავშირი იგულისხმება.⁷ ასეთია, მაგალითად, საკუთრების უფლება. შესაბამისად, ნივთზე საკუთრების უფლების არსებობა მოსამართლისთვის სადაზღვევო ინტერესის არსებობის პრეზუმფციას წარმოადგენს.

ეკონომიკური ინტერესი უფრო ფართოდ განიმარტება. ის წარმოადგენს დაზღვევის ობიექტისგან ეკონომიკური უპირატესობის (სარგებლის) მიღების ინტერესს. ასეთი ინტერესი შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ინტერესისგან დამოუკიდებლად და, არაერთი ავტორის აზრით, საკმარისიც არის სადაზღვევო ინტერესის ჩამოყალიბებისთვის. ეკონომიკური ინტერესი გამოხატავს დამზღვევის მჭიდრო ურთიერთკავშირს ქონებასთან, რაც პირდაპირ აისახება მის კეთილდღეობაზე. მაგალითად, იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ეკონომიკურ ინტერესად არ ჩაითვლება მშობლის გარდაცვალების შემდეგ ქონების მემკვიდრეობით მიღების მოლოდინი შვილის მხრიდან.⁸

⁶ *Loshin*, Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, The Yale law Journal, December, 2007, p. 6.

⁷ *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, Fourth Edition, 2007, p. 283.

⁸ იქვე, 289.

- 21 ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობის განსაზღვრის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება, რომელშიც საკასაციო პალატამ მოსარჩელის მიერ საკუთრების უფლების ფლობა სადაზღვევო ინტერესის არსებობის საფუძვლად მიიჩნია.⁹ თუმცა, აღსანიშნავია, რომ საკასაციო პალატის არგუმენტაციაში გამოყენებულია ტერმინი ქონებრივი ინტერესი, მაშინ როდესაც იმავე საქმეზე სააპელაციო პალატა ტერმინ სადაზღვევო ინტერესს იყენებს. ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი სიცხადის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, რომ ქონებრივი ინტერესი და სადაზღვევო ინტერესი იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენს. სადაზღვევო ინტერესი თავის თავში აერთიანებს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ინტერესს. მოყვანილი გადაწყვეტილებით საკასაციო პალატა სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობას სამართლებრივი ინტერესის სასარგებლოდ წყვეტს.
- 22 ქონების დაზღვევის შემთხვევაში ქონებრივი ინტერესის ტერმინის გამოყენება შესაძლებელია ნაწილობრივ გამართლებული იყოს იმ არგუმენტით, რომ ქონების მიმართ დამზღვევს ნაკლებად შეიძლება გააჩნდეს არამატერიალური ინტერესი. ასეთი მსჯელობით ქონების დაზღვევისას სადაზღვევო ინტერესი მხოლოდ დაზღვევის ობიექტისადმი ქონებრივი ინტერესით გამოიხატება. თუმცადა, შესაძლებელია, რომ ქონების ხელყოფის შედეგად დამზღვევმა მორალური ზიანიც განიცადოს. ამიტომ მოყვანილი ტერმინების ჩანაცვლებადი მნიშვნელობით გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. სიცოცხლის დაზღვევისას სადაზღვევო ინტერესის გათანაბრება ქონებრივ ინტერესთან მით უფრო გაუმართლებელია (იხ. 844-ე მუხლის კომენტ.).

ბ. სადაზღვევო ინტერესის არსებობის დადგენა კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს

- 23 სადაზღვევო ინტერესის დადგენა პრობლემაურია კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს. თავის მხრივ, მფლობელობა ეკონომიკურ ინტერესს გამოხატავს. აშშ-ს დაზღვევის დოქტრინის მიხედვით, კეთილსინდისიერი მფლობელობის შემთხვევაში, რადგან ქონება მესაკუთრისგან გამოთხოვას ექვემდებარება, მფლობელს არ შეიძლება გააჩნდეს ეკონომიკური ინტერესი ქონების მიმართ. შესაბამისად, ისეთ ურთიერთობებში, სადაც დამზღვევი არასტაბილურ მდგომარეობაშია დაზღვევის ობიექტისადმი, შრომით ურთიერთობებში გამოყენებული *at will* დოქტრინის მსგავსად, სადაზღვევო ინტერესის არსებობა გამოირიცხება. თუმცა, არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომელიც კეთილსინდისიერი მფლობელის ინტერესის სასარგებლოდ იხრება. ამ მოსაზრების მიხედვით, რადგან კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთთან დაკავშირებული უფლებები გააჩნია მესაკუთრის გარდა ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, მას გააჩნია სადაზღვევო ინტერესი ქონების მიმართ.¹⁰ გარდა ამისა,

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ოქტომბრის N ას-733-1003-05 განჩინება.

¹⁰ *Jerry/Richmond, Understanding Insurance Law, Fourth Edition, 2007, p. 304.*

კეთილსინდისიერ შემძენს ნითვის შენარჩუნების ინტერესიც აქვს, რისთვისაც იგი შეიძლება ხარჯებს გასწევდეს კიდევ.¹¹

გ. დაზღვეული ქონების გაუფასურება

პრობლემას წარმოადგენს სადაზღვევო ინტერესის არსებობის დადგენა ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაზღვეული ქონება ეკონომიკურ ღირებულებას კარგავს. მაგალითად, მიწის ნაკვეთზე აღმართული სახლის დემონტაჟის შემთხვევა, რომელსაც დამზღვევი თავად ახორციელებს. პრობლემა თავს იჩენს, თუ დემონტაჟის დაწყებამდე ან მისი განხორციელების პროცესში დადგება სადაზღვევო შემთხვევა. აშშ-ს დაზღვევის დოქტრინა ამ მიმართულებით განსხვავებულ მოსაზრებებს ავითარებს. ერთი მხრივ, მიჩნეულია, რომ დამზღვევი არ კარგავს სადაზღვევო ინტერესს გაუფასურებული ქონების მიმართ, რაც შენობის დემონტაჟის განხორციელების განზრახვითა და მიწის ნაკვეთის შემდგომი გამოყენების მიზნის არსებობით გამოიხატება.¹² თუმცა, არსებობს საპირისპირო აზრზე დამყარებული სასამართლო გადაწყვეტილებებიც. კერძოდ, თუ გაუფასურებული სახლის ნგრევა შემთხვევით გამოწვეულმა ხანძარმა გააჩინა და დამზღვევს აღარ დასჭირდა ხარჯის გაწევა მის დასანგრევად, ის არც ზიანს განიცდის.¹³ დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სადაზღვევო ინტერესის არსებობა ასეთ შემთხვევებში წარმოშობს დამზღვევის მოთხოვნის უფლებას. თუმცა, ზიანი, რომელსაც დამზღვევი განიცდის გაუფასურებული შენობის ნგრევის შედეგად, მინიმალურია.¹⁴

7. შეთანხმება პირგასამტეხლოსა და პროცენტზე

ქონების დაზღვევის ხელშეკრულების შედგენისას პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს პირგასამტეხლოსა და პროცენტის თაობაზე დათქმის გათვალისწინება. როგორც საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე¹⁵ განმარტა, „ორივე შემთხვევაში აღნიშნული უფლების რეალიზაცია საჭიროებს მხარეთა შეთანხმებას.“ ასეთი დასკვნა სასამართლომ სკ-ს 403 და 418 II-ს დააყრდნო და მხარეს განუმარტა, რომ რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ასეთი შეთანხმების არსებობა არ დასტურდებოდა, მისი მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

II. 820-ის განმარტება

1. ნორმის მიზანი

820 იმპერატიული ნორმისათვის დამახასიათებელ ფორმულირებას შეიცავს, რომლის მიხედვითაც ქონების დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით. ნორმის სიტყვასიტყვით განმარტების საფუძველზე გამოირიცხება 799 II 2-ის გამოყენება ქონების დაზღვევაში. კერძოდ, თუ ნორმა იმპერატიულად ჩაითვლება, მხარეები შეიზღუდებიან ანაზღაურების ფორმის

¹¹ იქვე, 305.

¹² იქვე, 306.

¹³ იქვე, 308.

¹⁴ იქვე, 307.

¹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მარტის N 28/78-12 გადაწყვეტილება.

განსაზღვრისას. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სადაზღვევო პრაქტიკაში ქონების დაზღვევის დროს გამოიყენება ზიანის არაფულადი სახით ანაზღაურების ფორმაც. ლოგიკურად, კანონმდებლის ქეშმარიტი მიზანი არ უნდა ყოფილიყო ანაზღაურების ფორმის შეზღუდვა ქონების დაზღვევაში. ასეთი მოწესრიგებით კანონი მნიშვნელოვნად დააბრკოლებდა ეკონომიკური თვალსაზრისით ეფექტური¹⁶ და მხარეთა ინტერესებზე მორგებული მოქნილი ტრანზაქციების გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ, 820 უნდა განიმარტოს ფართოდ და სადაზღვევო სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკა ქონების დაზღვევისას ანაზღაურების ვალდებულების არაფულადი ფორმით შესრულების სახით ნორმის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს.

2. ზიანის ანაზღაურება არაფულადი ფორმით

- 27 საერთაშორისო სადაზღვევო პრაქტიკა იცნობს მხარეთა შეთანხმებას ე. წ. *repair or replace* პირობის თაობაზე, რომელიც დაზიანებული ობიექტის შეკეთების ან ახლით ჩანაცვლების შესაძლებლობას ითვალისწინებს. კერძოდ, ქონების დაზღვევისას მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ზიანის ანაზღაურების სახით, მზღვეველი შეაკეთებს ან ახლით ჩაანაცვლებს დაზიანებულ ობიექტს. ასეთ შემთხვევებში წარმოშობილი დავები უმთავრესად ორ პრობლემას უკავშირდება. პირველი ეხება *დამზღვევის უფლებას აირჩიოს დაზიანებული ქონების შეკეთება ან ჩანაცვლება*. მეორე კი უკავშირდება *დაზიანებული ობიექტის შეკეთების ხარისხსა და ხასიათს*.
- 28 პირველ შემთხვევაში გადამწყვეტია ხელშეკრულების შინაარსი. დაზღვევის პოლისში გარკვევით და ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული დამზღვევის უფლება დაზიანებული ქონების შეკეთებასა და ჩანაცვლებას შორის არჩევანის თაობაზე. ხელშეკრულებაში ასეთი პირობის არარსებობას მზღვეველი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, რაც შესაძლებელია დამზღვევისათვის არასასურველ შედეგში გამოიხატოს ქვემოთ მოყვანილ მიზეზთა გამო.¹⁷
- 29 მაგალითად, მხარეებს შორის გაფორმდა ავტომანქანის დაზღვევის ხელშეკრულება. დაზღვეული ობიექტი უამინდობისას ხის დაცემის შედეგად დაზიანდა. ავტომანქანის დაზიანება არსებითი ხასიათისაა, მაგრამ ის შეკეთებას ექვემდებარება. მსგავსი ტიპის დავებზე დამზღვევი ითხოვს დაზიანებული ავტომანქანის ჩანაცვლებას ახალი ავტომანქანით ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობის საფუძველზე. მზღვეველი კი ამტკიცებს, რომ ის არ არის ვალდებული გადაიხადოს დაზღვევის ობიექტის ეკონომიკური ღირებულების შემცირების სხვაობა.¹⁸

¹⁶ *Loshin*, Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, The Yale Law Journal, December, 2007, p. 10.

¹⁷ *Jerry/Richmond*, Understanding Insurance Law, Fourth Edition, 2007, p. 651.

¹⁸ იქვე, 649.

სამართლებრივად ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები 30 გონივრულია. კერძოდ, გასაზიარებელია დამზღვევის არგუმენტი შეკეთების შედეგად ნივთის საბაზრო ღირებულების შემცირებისა და დამზღვევის ფინანსურად უარეს მდგომარეობაში აღმოჩენის თაობაზე. მისაღებია მზღვეველის მსჯელობაც, შეკეთების შედეგად ნივთის სარგებლობისთვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანის შესახებ.

პირველი არგუმენტის გათვალისწინებით, ფაქტობრივად, დამზღვევი უკეთეს 31 მდგომარეობაში იქნება ქონების სრული განადგურების შემთხვევაში. მოცემულ მაგალითში თუ მანქანის ეკონომიკური ღირებულება შეადგენდა 5000 ლარს და შეკეთების შედეგად ის შემცირდა და შეადგენს 4600 ლარს, ნივთის სრული განადგურების შემთხვევაში, პირველი რისკის სისტემაზე შეთანხმებით, დამზღვევი 5000 ლარს მიიღებდა.

მსგავსი ტიპის დავებზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზიანის ანაზღაურების 32 კონცეფციის შესახებ და განსაზღვროს მისი შინაარსი ქონების დაზღვევის დროს. კერძოდ, სასამართლომ უნდა განმარტოს რას მოიაზრებს Status quo-ს აღდგენა მოცემულ მაგალითში: ნივთის ნორმალური სარგებლობისათვის საჭირო მდგომარეობაში მოყვანას თუ ქონების ღირებულების შემცირების სხვაობის ანაზღაურებას მზღვეველის მიერ. ასეთ დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს როგორც მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში მკაფიოდ განსაზღვრული პირობების, ისე ე.წ. ნაგულისხმები პირობების შინაარსითაც, რაც ხელშეკრულების მიმართ მხარეთა კეთილსინდისიერ მოლოდინში გამოიხატება.

მეორე და არანაკლებ აქტუალური პრობლემა უკავშირდება დაზიანებული 33 ქონების შეკეთების ხარისხს. კერძოდ, პრობლემურია შემთხვევები, როდესაც მზღვეველი დაზღვეული ობიექტის შეკეთებისას იყენებს შედარებით დაბალი ხარისხისა და ფასის ნაწილებს და არა, მაგალითად, ავტომობილის წარმოებისას გამოყენებული მარკის ნაწილებს.¹⁹ მოცემულ შემთხვევაშიც, ზემოთ განხილული მაგალითის მსგავსად, მხარეთა ინტერესების დაბალანსებისთვის მნიშვნელოვანია შეკეთების ხარისხის წინასწარ განსაზღვრა ხელშეკრულებით. ასეთის არარსებობის შემთხვევაში სასამართლომ ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს.

3. დათქმა საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ

ქონების დაზღვევისას ზიანის არაფულადი ფორმით ანაზღაურებაზე შეთანხმება 34 ხშირად შეიცავს დათქმას მზღვეველისათვის დაზღვეულ ობიექტზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. ერთ-ერთ ასეთ საქმეში²⁰ ავტომანქანის დაზღვევის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ:

ა) დაზიანებული დეტალების ღირებულების ანაზღაურების შედეგად (დაზიანებული ავტომობილის აღდგენის შესაძლებლობისას) მზღვეველი

¹⁹ იქვე, 650.

²⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის N 28/01-12 გადაწყვეტილება.

უფლებამოსილი იყო, დამზღვევისაგან მოეთხოვა შეცვლილი ნაწილების საკუთრებაში გადაცემა;

ბ) სადაზღვევო ანაზღაურების სრულად გაცემის შედეგად (ავტომობილის სრული — 75%-ით და მეტით განადგურების შემთხვევაში), მზღვეველი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა საკუთრების უფლების გადაცემა განადგურებულ მანქანაზე;

გ) სადაზღვევო ანაზღაურების სრულად გაცემის შედეგად (ავტომანქანის გატაცებისას დაკარგული ნივთის პოვნის შემთხვევაში) მზღვეველი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა საკუთრების უფლების გადაცემა ნაპოვნ მანქანაზე.

- 35 საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაზღვევო კომპანია ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ზიანი დამზღვევისათვის, ხოლო დამზღვევი, თავის მხრივ, ვალდებული იყო მანქანის დაზიანებული ნაწილები საკუთრებაში გადაეცა სადაზღვევო კომპანიისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს განმარტებით, თუკი მანქანის დაზიანებული დეტალებიც დამზღვევს დარჩებოდა, აღნიშნული გამოიწვევდა მის უსაფუძვლო გამდიდრებას. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლო ასეთ სამართლებრივ შეფასებას დაეთანხმა